შპს „სითი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „სითი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ლარში)

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება ----------3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----------4

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება ----------5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები----------6

შპს „სითი“

მოგება/ზარალის და სხვა შემოსავლების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ლარში)

მოგება - ზარალის ანგარიშგება

		31-12-19	31-12-18
ამონაგები	**12**	102,343	5,709,755
თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		**102,343**	**5,709,755**
სხვა შემოსავლები	**13**	18,958	242,990
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	**14**	(762,253)	(4,372,439)
მიწოდების დანახარჯები		-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	**15**	131,441	168,057
სხვა ხარჯები	**16**	(5,606)	(200,792)
საოპერაციო მოგება		**(515,118)**	**1,547,571**
ფინანსური შემოსავალი	**15**	136,799	164,073
ფინანსური ხარჯი	**15**	(1,680)	(12,136)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		135,119	151,937
მოგება დაბეგვრამდე		**(379,998)**	**1,699,508**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		**(379,998)**	**1,699,508**
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		**(379,998)**	**1,699,508**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 23 სექტემბერს დირექტორის მიერ

დირექტორი ---------- რადოსლავ დუდოლენსკი

შპს „სითი“

მოგება/ზარალის და სხვა შემოსავლების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ლარში)

მოგება - ზარალის ანგარიშგება		**31-12-19**	**31-12-18**
ამონაგები	**12**	102,343	5,709,755
თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		**102,343**	**5,709,755**
სხვა შემოსავლები	**13**	18,958	242,990
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	**14**	(762,253)	(4,372,439)
მიწოდების დანახარჯები		-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	**15**	131,441	168,057
სხვა ხარჯები	**16**	(5,606)	(200,792)
საოპერაციო მოგება		**(515,118)**	**1,547,571**
ფინანსური შემოსავალი	**15**	136,799	164,073
ფინანსური ხარჯი	**15**	(1,680)	(12,136)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		135,119	151,937
მოგება დაბეგვრამდე		**(379,998)**	**1,699,508**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		**(379,998)**	**1,699,508**
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		**(379,998)**	**1,699,508**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 23 სექტემბერს დირექტორის მიერ

დირექტორი ---------- რადოსლავ დუდოლენსკი

შპს „სითი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

ფინანსური მდგომარეობის უწყისი

		31.12.19	31.12.18
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	427 572	698 341
საინვესტიციო ქონება			
ბიოლოგიური აქტივი			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში			
		427 572	**698 341**
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	53	79
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1 714 587	2 316 907
მარაგები	7	138 438	144 494
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	8	253 969	171 006
		2 107 048	**2 632 486**
მთლიანი აქტივები		**2 534 620**	**3 330 827**
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	300,000	300,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1 989 981	2 369 979
გადაფასების რეზერვი			
		2 289 981	**2 669 979**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	110 407	**32 135**
ანარიცხები			
გადავადებული შემოსავალი		-	-
		110 407	**32 135**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	133 130	585 043
საგადასახადო ვალდებულებები			0

შპს „სითი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

ფინანსური მდგომარეობის უწყისი

		31.12.19	31.12.18
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	427 572	698 341
საინვესტიციო ქონება			
ბიოლოგიური აქტივი			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში			
		427 572	**698 341**
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	53	79
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1 714 587	2 316 907
მარაგები	7	138 438	144 494
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	8	253 969	171 006
		2 107 048	**2 632 486**
მთლიანი აქტივები		**2 534 620**	**3 330 827**
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	300,000	300,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1 989 981	2 369 979
გადაფასების რეზერვი			
		2 289 981	**2 669 979**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	110 407	**32 135**
ანარიცხები			
გადავადებული შემოსავალი		-	-
		110 407	**32 135**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	133 130	585 043
საგადასახადო ვალდებულებები			0
გადასახდელი პროცენტი	10	1 102	43 670
გადასახდელი დივიდენდი		-	-
		134 232	**628 713**
მთლიანი ვალდებულებები		**244 639**	**660 848**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		**2 534 620**	**3 330 827**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 23 სექტემბერს დირექტორის მიერ

დირექტორი ---------- რადოსლავ დუდოლენსკი

გადასახდელი პროცენტი	10	1 102	43 670
გადასახდელი დივიდენდი		-	-
		134 232	**628 713**
მთლიანი ვალდებულებები		**244 639**	**660 848**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		**2 534 620**	**3 330 827**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 23 სექტემბერს დირექტორის მიერ

დირექტორი ---------- რადოსლავ დუდოლენსკი

შპს „სითი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	**300,000**	**-**	**2 369 977**	**2 669 977**
წმინდა მოგება	-	-	**(379 998)**	**(379 998)**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	**-**
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	**(379 998)**	**(379 998)**
გაცემული დივიდენდი	-	-		**-**
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	**-**
2019 წლის 31 დეკემბერი	**300,000**	**-**	**1 989 978**	**2 289 978**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 23 სექტემბერს დირექტორის მიერ

დირექტორი ---------- რადოსლავ დუდოლენსკი

შპს „სითი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	**300,000**	**-**	**2 369 977**	**2 669 977**
წმინდა მოგება	-	-	**(379 998)**	**(379 998)**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	**(379 998)**	**(379 998)**
გაცემული დივიდენდი	-	-		-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	**300,000**	**-**	**1 989 978**	**2 289 978**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 23 სექტემბერს დირექტორის მიერ

დირექტორი ---------- რადოსლავ დუდოლენსკი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სითი“ (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2014 წლის 26 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ–სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 406113389 კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, თენგიზ აბულაძის ქუჩა, N 34 სართული 4, ბინა 45.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 80% წილის მფლობელია შპს „ბლექვუდი“, ხოლო 20% წილის ფიზიკური პირი მურატ დენიზ ქაია.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გამანაწილებელი ობიექტების მშენებლობა ელექტროენერგიით და ტელეკომუნიკაციებით უზრუნველსაყოფად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

2.1 მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის

2018 წლის 1 იანვარი. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2019 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგებას 2019 წლის ანგარიშგებაზე.

2.2 შემოსავლების აღიარება

თუ შესაძლებელია სამშენებლო კონტრაქტების შედეგების საიმედო შეფასება, სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები აღიარდება ამონაგებისა და ხარჯების სახით, ანგარიშგების თარიღისათვის საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით. კონტრაქტის შედეგების საიმედო შეფასებისთვის აუცილებელია კონტრაქტის შესრულების სტადიის, მომავალი ხარჯების და გადასახდელი თანხების ამოღების შესაძლებლობის საიმედო შეფასება.
კომპანია იყენებს „პროცენტული შესრულების მეთოდს“, რათა განსაზღვროს შესაბამისი თანხა, რომ მოცემულ პერიოდში აღიარდეს. სამშენებლო კონტრაქტის შესრულების სტადიის დადგენა შესაძლებელია პროპორციულობის მეთოდით, რომელიც გულისხმობს ანგარიშგების თარიღისთვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი საკონტრაქტო დანახარჯების შეფასებულ თანხასთან მიმართებით. სამშენებლო კონტრაქტის შესრულების სტადიის დადგენისას, საკონტრაქტო დანახარჯებში არ შედის ანგარიშგების თარიღამდე გაწეული დანახარჯები, რომლებიც მომავალი პერიოდის საკონტრაქტო სამუშაოებთან არის დაკავშირებული. მომავალი პერიოდის საკონტრაქტო სამუშაოებთან დაკავშირებული დანახარჯები წარმოდგენილია როგორც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, ავანსები ან სხვა აქტივები, მათი ბუნებიდან გამომდინარე და იმის მიხედვით, თუ რამდენად ექვემდებარება ეს დანახარჯები ამოღებას. თუ სამშენებლო კონტრაქტის შედეგების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, საკონტრაქტო ამონაგების მხოლოდ ის ნაწილი აღიარდება, რომელიც იმ საკონტრაქტო დანახარჯებს უკავშირდება, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია. კომპანია საკონტრაქტო დანახარჯებს ხარჯებად აღიარებს დაუყოვნებლივ. თუ მოსალოდნელია, რომ მთლიანი საკონტრაქტო დანახარჯები გადააჭარბებს მთლიან საკონტრაქტო ამონაგებს, მოსალოდნელი ზარალის თანხა ხარჯების სახით დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს. კომპანია აქტივის სახით წარმოადგენს კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის დამკვეთისაგან მისაღებ მთლიან თანხას ყველა იმ დაუმთავრებელი კონტრაქტისათვის, რომლისთვისაც გაწეული დანახარჯებისა და აღიარებული მოგების თანხების ჯამი (აღიარებული ზარალის თანხის გამოკლებით) აღემატება შუალედური ანგარიშების თანხებს. დამკვეთების მიერ ჯერ არ გადახდილი შუალედური ანგარიშები და შეჩერებული თანხები შედის „სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში“. კომპანია ვალდებულების სახით წარმოადგენს კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისათვის დამკვეთებისთვის გადასახდელ მთლიან თანხას ყველა იმ

დაუმთავრებელი კონტრაქტისათვის, რომლისთვისაც შუალედური ანგარიშების თანხა მეტია გაწეული დანახარჯებისა და აღიარებული მოგების (აღიარებული ზარალის თანხის გამოკლებით) თანხების ჯამზე.

შემოსავალი მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის დროს საქონლის და მომსახურების გასაყიდად მიღებული ან მისაღები თანხის რეალურ ღირებულებას. შემოსავალი ნაჩვენებია გაყიდვებზე გადასახადის/დამატებითი ღირებულების გადასახადის, მოგების, ფასჩამოკლებების და ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია შემოსავალს აღიარებს: როდესაც შესაძლებელი იქნება შემოსავლის ოდენობის უტყუარად გაანგარიშება; როდესაც არსებობს მომავალი ეკონომიკური სარგებელის შედინების ალბათობა კომპანიაში; და როდესაც კონკრეტული კრიტერიუმები დაკმაყოფილდება კომპანიის თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება დროითი პროპორციის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2.3 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.4 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებს და არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სავაჭრო და სხვა ვალდებულებები კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში, ანგარიშგების დღეს მოქმედი კურსით.

2.5 გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით

განაწილება). 15%–იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებლებში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში, და 0.85-ზე გაყოფით) ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდისას. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებული მოგებიდან არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში დაგროვილ მოგებაზე დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება გადაანგარიშებულ მთლიან მაჩვენებელზე, რომელიც შემცირებულია საგადასახადო შეღავათით. საგადასახადო შეღავათი გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი საერთო წმინდა მოგებასთან მიმართებით იმავე პერიოდში, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც დივიდენდების გადახდა განხორციელდა. შედეგად, კომპანიამ 2016 წლის 31 დეკემრის მდგომარეობით ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღიარება გააუქმა და შესაბამისი გავლენა აღრიცხა 2016 წლის მოგებაში და ზარალში. მოგების გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც დივიდენდების გადახდის შემდეგ წარმოიშობა, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გაყიდვებთან დაკავშირებით დარიცხული დღგ საგადასახადო ორგანოებში გადახდას ექვემდებარება ქვემოთ მითითებულიდან იმ დღეს, რომელიც უფრო ადრე დადგება: (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღება ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურებების მიწოდება. გადახდილი დღგ ზოგადად ანაზღაურდება დარიცხულ დღგ-თან მიმართებით, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანოებისგან დაშვებულია დღგ-ის გადახდა ნეტო საფუძველზე. შესაბამისად, გაყიდვებთან და ყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომლის გადახდაც არ მოხდა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. ასევე საექსპორტო რეალიზაცია დღგ-ის გადასახადით არ იბეგრება, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

2.6 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებიდან და მათი ეკვივალენტებიდან,

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გაცვლა ან გამოყენება არ შეიძლება ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად, აღიარდება როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

2.7 მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. გაყიდვების უმეტესობა ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. თუ კრედიტი ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით არ არის გაცემული, მოთხოვნები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. თითოეული ანგარიშგების პერიოდის დასრულებისას, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ თანხები ამოღებას ექვემდებარება. თუ ეს ასეა, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფასდება პირველადი (ისტორიული) ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. პირველადი ღირებულება მოიცავს ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე; ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად; ძირითად საშუალებებზე ცვეთა ისე დაირიცხება, რომ აქტივების თვითღირებულება გამოიყოს, სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაში ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადებია:

დანადგარები და მოწყობილობები	2-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები და სხვ.	2-7 წელი

მშენებლობის ეტაპზე მყოფი აქტივები ცვეთას არ ექვემდებარება, ვიდრე ექსპლუატაციაში არ ჩაეშვება. აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ცვეთის დარიცხვის მეთოდების გადახედვა და საჭიროებისამებრ სათანადოდ კორექტირება იმ შემთხვევაში ხდება, თუ არსებობს მინიშნება ბოლო საანგარიშო თარიღის შემდეგ განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებზე. ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

შპს „სითი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

2.9 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

2.10 აქტივების გაუფასურება

ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და დაკავშირებულ პირებში ჩადებული ინვესტიციები ფასდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ზარალის რაიმე მინიშნება. თუ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე მინიშნება, დაზიანებული აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) აღდგენადი ღირებულება შეფასდება და მის საბალანსო ღირებულებასთან შედარდება. თუ აქტივის სავარაუდო აღდგენადი ღირებულება უფრო ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება სავარაუდო აღდგენად ღირებულებამდე და გაუფასურება დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი ანგარიშგების პერიოდი ბოლოს, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების მის გასაყიდ ფასთან შედარებით, დასრულების და რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. თუ სასაქონლო-მატერიალური

ფასეულობების აქტივი (ან მსგავსი აქტივების ჯგუფი) გაუფასურდება, მისი საბალნსო ღირებულება შემცირდება სარელიზაციო ფასამდე, დასრულების და რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით, და გაუფასურება დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომში გაუფასურების ზარალი რადიკალურად შეიცვლება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.11 ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ანუ, გამსესხებლისთვის გადასახდელი თანხის მიმდინარე ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). პირველადი აღიარების შემდეგ, ნასესხები სახსრები ამორტიზირებული ღირებულებით აღირიცხება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის საფუძველზე და შედის ფინანსურ ხარჯებში. ნასესხები სახსრები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ კომპანიას არ აქვს უპირობო უფლება ანგარიშსწორების ვალდებულება გადაავადოს ანგარიშსწორების თარიღიდან მინიმუმ 12 თვით.

2.13 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. განცხადებული საწესდებო კაპიტალის ზედმეტობა / (დანაკლისი) რეალური შენატანის ღირებულებასთან მიმართებაში აღირიცხება როგორც გადახდილი / (გადაუხდელი) კაპიტალი, შესაბამისად. ამასთან, კომპანიის აქციონერების მიერ კაპიტალში ყველა სხვა ფულადი ან არაფულადი შენატანი, რომელიც კომპანიის კაპიტალის გაზრდის მიზნით განხორციელდა, მაგრამ არ აისახა კომპანიის წესდებაში ბალანსის თარიღის მდგომარეობით, აღიარდება როგორც გადახდილი კაპიტალი.

2.14 სახელფასო დანახარჯები და დაკავშირებული შენატანები

მუშა-მოსამსახურეთა ხელფასები, სარგო, საპენსიო ფონდებში შენატანები, წლიური ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც კომპანიის

თანამშრომლების გაწევენ დაკავშირებულ მომსახურებებს. კომპანია თავისი თანამშრომლებისთვის არ გაწევს ხარჯებს საპენსიო ან სხვა ანაზღაურებას მათთან შრომითი ურთიერთობის დასრულების შემდეგ.

2.15 იჯარა

თუ საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით საკუთრებიდან გამომდინარე რისკისა და სარგებლის არსებითი ნაწილი არ გადაეცემა და მეიჯარესთან რჩება, მაშინ ასეთი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო. საოპერაციო იჯარის ფარგლებში განხორციელებული გადახდები (მეიჯარისგან მიღებული ყოველგვარი ბონუსების გამოკლებით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში თანაბარზომიერად, იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

2.16 დივიდენდების განაწილება

დივიდენდების განაწილება კომპანიის მფლობელებზე კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც კომპანიის მფლობელები დივიდენდებს დაამტკიცებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების, ვარაუდების და დაშვებები შესახებ ინფორმაცია

კომპანია აკეთებს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე. შეფასებები და ვარაუდები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების კეთილგონივრულ მოლოდინებს. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გამოთქვამს გარკვეულ ვარაუდებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ვარაუდები, რომლებიც ყველაზე მეტ გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, და შეფასებები, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააკორექტიროს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, არის შემდეგი:

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადას ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, მსგავს აქტივთან მიმართებაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ დაძველებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი გამოიყენება. ნებისმიერ ასეთ პირობებში ან შეფასებებში ცვლილებამ შეიძლება სამომავლო გაუფასურების

მაჩვენებლების კორექტირება გამოიწვიოს. **საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი**-სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურები რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორებისგან თანხების ამოღება. აღნიშნული რეზერვის შეფასებისას კომპანის ხელმძღვანელობა ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ დებიტორს და განიხილავს მის გადახდისთვის მზაობას.

4.ძირითადი საშუალებები

შენიშვნა 3

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	ა/მანქანები	მანქანა-დანადგარები	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2018	**-**	**199 143**	**880 975**	**388 040**	**1 468 158**
შემოსვლა					**-**
გადაფასება					**-**
გასვლა	-	(16,102)		(407)	**(16,508)**
31 დეკემბერი 2019	**-**	**183,041**	**880,975**	**387,634**	**1,451,650**
ცვეთა და გაუფასურება					**-**
31 დეკემბერი 2018	-	(89,955)	(501,763)	(178,669)	**(770,387)**
პერიოდის ცვეთა	-	(39,560)	(150,445)	(76,168)	**(266,174)**
გაუფასურება	-	-	-	-	**-**
გასვლა	-	12,076		407	**12,483**
31 დეკემბერი 2019		**(117,439)**	**(652,208)**	**(254,431)**	**(1,024,078)**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2018	**-**	**109,187**	**379,212**	**209,371**	**1,468,158**
31 დეკემბერი 2019	**-**	**65,602**	**228,767**	**133,203**	**427,572**

5. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	31 დეკემბერი 2019	**31 დეკემბერი 2018**

ბანკებში გახსნილი მიმდინარე ანგარიშები	53	79
სალაროში არსებული ნაღდი ფული		
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**53**	**79**

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	**31 დეკემბერი 2018**
სავაჭრო მოთხოვნები	30 318	40 713
გაცემული ავანსები	4 548	28 454
სულ სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	**34 866**	**69 167**
კაპიტალის შევსებაზე პარტნიორინის წილის მიმდინარე ნაწილი	300,000	300,000
გაცემული სესხები	1 365 303	1 947 740
ავანსად გადახდილი გადასახადები	14,418	
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**1 714 587**	**2 316 907**

7. მარაგები

	31 დეკემბერი 2019	**31 დეკემბერი 2018**
ნედლეული და მასალები	115 504	119 779
სხვა მარაგები	22 934	24 715
სულ მარაგები	**138 438**	**144 494**

8. მისაღები დივიდენდები და პროცენტები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტები	253 969	171 006
მისაღები დივიდენდი	0	0
სულ მარაგები	**253 969**	**171 006**

დაკავშირებულ მხარეებზე სესხები გაიცემა საერთო კონტროლის საფუძველზე. საპროცენტო განაკვეთები: 1) უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე მერყეობს 7.6%-დან 8.5%-მდე წლიურად; და 2) ლარში გაცემულ სესხებზე მერყეობს 10.8%-დან 11.4%-მდე წლიურად. დარიცხული პროცენტები და ძირითადი თანხა გადახდას ექვემდებარება სესხის დაფარვის ვადის დადგომისას, რაც გაცემული სესხების უმეტეს შემთხვევაში არის 2032 წლის 31 დეკემბერი.

9. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის წესდების შესაბამისად, საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 300 000 ლარის ოდენობით, შპს „ბლექვუდის“ წილი 80% და ფიზიკური პირი მურატ დენიზ კაიას წილი 20 % , კომპანიის წილი პერიოდის ბოლოსათვის შეუვსებელია. მოთხოვნა მოცემულია მე-6 განმარტებით შენიშვნაში კაპიტალის შევსებაზე პარტნიორინის წილის მიმდინარე ნაწილი.

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2019
გადახდილი კაპიტალი	0	0
გადაუხდელი კაპიტალი	300 000	300 000
სულ საწესდებო კაპიტალი	**300 000**	**300 000**

10. ნასესხები სახსრები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიმდინარე		
ბანკებიდან ნასესხები სახსრები	-	-
საბანკო სესხებზე გადასახდელი პროცენტი	-	-
სულ მიმდინარე ნასესხები სახსრები	**0**	**0**
გრძელვადიანი		
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები სახსრები	110 407	33 135
დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი პროცენტი	1 102	43 670

სულ გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	**111 509**	**76 805**
სულ ნასესხები სახსრები	**111 509**	**76 805**

დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხებ სახსრებზე საპროცენტო განაკვეთები: 1) უცხოურ ვალუტაში ნასესხებ სახსრებზე მერყეობს 8,3% დან ს 9.8 % მდე, ხოლო 2) ლარში ნასესხებ სახსრებზე მერყეობს 11%-დან 13%-მდე წლიურად. კომპანია ვალდებულია ამ ნასესხები სახსრების ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი გადაიხადოს შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვადაში. სესხის დაფარვის თარიღი, უმეტეს შემთხვევაში, არის 2020 წლის 31 დეკემბერი.

11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	**31 დეკემბერი 2018**
სავაჭრო ვალდებულებები	127 573	583 618
ხელფასი	5 444	1 425
გადახდას დაქვემდებარებული გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	112	0
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**133 130**	**585 043**

12. შემოსავალი

	31 დეკემბერი 2019
სამშენებლო კონტრაქტებიდან შემოსავალი	102 343
ელექტროენერგიის გაყიდვებიდან შემოსავალი	-
სულ შემოსავალი	**102 343**

13. სხვა შემოსავალი

	31 დეკემბერი 2019

ტექნიკის იჯარიდან შემოსავალი	2 608
ა/მანქანის იჯარიდან შემოსავალი	3 475
შემოსავალი ა/მანქანის გაყიდვიდან	1 271
სხვა შემოსავლები	273
მასალების რეალიზაციიდან შემოსავალი	11 330
სულ შემოსავალი	**18 958**

14. ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი

	31 დეკემბერი 2019
გადასახადები, საშემოსავლო გადასახადის გარდა	10 964
პროფესიონალური მომსახურება	33 898
ხელფასი	379 465
მანქანის რემოტი	4 918
საწვავის ხარჯი	14 435
მასალების დანახარჯი	21 552
დაზღვევა	340
ცვეთა და ამორტიზაცია	266 174
ბანკის და გარანტიის საკომისიო	498
სამშენებლო საოპერაციო ხარჯები	11 361
სხვა ხარჯები	18 648
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**762 253**

კომპანის გაფორმებული აქვს მენეჯმენტ ხელშეკრულება დამფუძნებელ კომპანიასთან რომელიც ამ კონტრაქტის ფარგლებში ახორციელებს კომპანიის საოპერაციო, ფინანსურ და ტექნიკურ მენეჯმენტს და საჭიროების შემთხვევაში უწევს მას საკონსულტაციო მომსახურებას. პროფესიული მომსახურება მოიცავს აღნიშნულ ხარჯებს.

15. ფინანსური ხარჯები და შემოსავლები

	31 დეკემბერი 2019
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებზე	-5 606
სავალუტო მოგება ზარალის გამოკლებით	136 799
ვალუტის ვაჭრობაზე განცდილი ზარალი, მოგების გამოკლებით	-1 680
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხიდან მისაღები პროცენტები	131 441
სულ ფინანსური ხარჯები	**260 954**

16. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

18. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან დავალიანების ნაშთები მოცემულია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საერთო კონტროლის ქვეშ მოქმედ დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები (მე-6 შენიშვნა)	1 365 303	1 947 740
საერთო კონტროლის ქვეშ მოქმედ დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხებიდან მისაღებ პროცენტები (მე-8 შენიშვნა)	253 969	171 006
დაკავშირებული მხარისგან ნასესხები თანხები (მე-10 შენიშვნა)		
დაკავშირებული მხარისთვის გადასახდელი პროცენტი (მე-10 შენიშვნა)	1 102	43 670
სულ:	**1 620 374**	**2 162 416**

17. ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება.

ხელმძღვანელი პირები მოიცავს დირექტორებს. სრულ განაკვეთზე მუშაობისას გაწეული სამსახურის სანაცვლოდ ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი კომპენსაცია შედგება კონტრაქტით გათვალისწინებული ძირითადი ხელფასისგან, ფულადი ბონუსებისგან (რაც კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზეა დამოკიდებული) და სხვა ანაზღაურებისგან (რაც გულისხმობს ქირის, ტრანსპორტირების, კომუნიკაციის და სხვა ხარჯების კომპენსაციას). ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში ხელმძღვანელ პირებზე გაცემული ანაზღაურება:

	31 დეკემბერი 2019
ხელფასი და საკომპენსაციო გადახდები	239 305
სულ ხელმძღვანელ პირებზე გაცემული ანაზღაურება	**239 305**

18. ეკოლოგიური საკითხები

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულება საქართველოში განვითარების პროცესშია და რეგულარულად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციების გადახედვა. კომპანია პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს, რომელსაც გარესმოდაცვითი კანონმდებლობა ითვალისწინებს. ვალდებულებები განსაზღვრისთანავე უნდა აღიარდეს. შეუძლებელია შეფასდეს, მაგრამ არსებითად მნიშვნელოვანია ის პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც არსებულ კანონმდებლობაში, სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებსა და წესებში გახორციელებული ცვლილებების შედეგად შეიძლება წარმოიშვას. მოქმედი კანონმდებლობის პირობებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა გარემოსთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით.

19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

დაკორექტირდა 2018 წლის მოგება ზარალის ანგარიშგება, ვინაიდან ანგარიშგების წარდგენის შემდეგ წარმოდგენილი იქნა 6175 ლარის ხარჯის დოკუმენტაცია, რამაც გამოიწვია გაუნაწილებელი მოგების შემცირება. შესაბამისად შემცირდა გადახდილი ავანსის თანხა ფინანსური ანგარიშგების უწყისში.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და ნებადართულია გამოსაცემად მფლობელის მიერ 2020 წლის 23 სექტემბერს.